

შპს “ჯეო-ემ-ტექს”

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-16

შპს „ჯეო-ემ-ტექს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	174837	2982	2187
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	189335	13616	232501
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	736657	1342	4890
მარაგები		2223018	846940	1328010
მზა პროდუქცია	4	111200	67574	19086
სხვა	5	2111818	779366	1308924
საინვესტიციო ქონება	6	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	1988705	127687	102394
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	8	0	1722	784
ძირითადი საშუალებები	9	4664115	5098105	5509230
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		632613	0	0
სულ აქტივები		10609280	6092394	7179996
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	10	517838	59857	51184
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	850	171351	114140
საგადასახადო ვალდებულებები	12	134723	161406	161821
გამოუმუშავებელი შემოსავალი	13	5089719	1074232	562209
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	14	2182555	1956943	2065628
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	15	0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები	16	12667	13988	0
სულ ვალდებულებები		7938352	3437777	2954982
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',	17	10981761	10981761	10080730
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	18	-8310833	-8327144	-5855716
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		2670928	2654617	4225014
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10609280	6092394	7179996
სულ მოკლევადიანი აქტივები		5312552	974627	1669982
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7971192	3437777	2954982

ხელმოწერი პირი:

ნინო ნიქაბაძე- დირექტორი

29 სექტემბერი, 2024



შპს „ჯეო-ემ-ტექს“
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები		12781731	3437283
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	19	12781731	3437283
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	20	-5178345	-1074630
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		7603386	2362653
სხვა საოპერაციო შემოსავალი	21	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	22	-6163287	-3623772
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	23	-424771	-424771
საპროცენტო შემოსავალი	24	0	441
საპროცენტო ხარჯი	25	-174639	-97670
იჯარის ხარჯი		-17338	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	26	-859672	-1011898
სულ საოპერაციო ხარჯები		-7639707	-5157670
საოპერაციო მოგება		-36321	-2795017
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		19792	257649
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	27	32840	65940
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		16311	-2471428
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		16311	-2471428
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		16311	-2471428
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		2654617	4225014
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	28	0	901031
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2670928	2654617

ხელმომწერი პირი:

ნინო ნიქაბაძე - დირექტორი



2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

- 1.1. შპს „ჯეო-ემ-ტექს“-ი (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2015 წლის 3 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია-405111882, იურიდიული მისამართი-საქართველო, თბილისი, ნინუას ქ. #3. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად.
- 1.2. დაარსების დღიდან კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელი იყო რამაზ საღარაძე (პ.ნ.01024047910). 2020 წლის 17 ნოემბერს მან საკუთარი წილის 49 % გაასხვისა შპს დელტა ტექსტილზე (ს/კ402168220). 2022 წლის 30 დეკემბერს დარჩენილი 51 % გაასხვისა საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა-ზე (ს/კ 202297335).
- 1.3. კომპანიის მმართველ ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება და დირექტორი. კომპანიის დირექტორია ნინო ნიქაძე (პ/ნ 60001124560).
- 1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტექსტილის წარმოება.
- 1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგმარეობით, არ ყავს შვილობილი კომპანია და მეკავშირე საწარმოები.
- 1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

- 2.1. 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.
- 2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტი და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100 %-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

გ) მიმატებული ან გამკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგეს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის ვანმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დდისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელის მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალურის ვალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოტვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის დღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივი

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისთვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისთვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუკონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები- 5%;

მანქანა-დანადგარები- 10 %;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 20%;

ავეჯი - 20%;

ინვენტარი - 20%;

სპეციალური ინსტრუმენტები- 12,5%;

ეზოს კეთილმოწყობა-10%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები -50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების ტარილიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 01 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული ირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 01 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებს და მათ საბალანსო ღირებულებებს შორი. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2023 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15 %-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისთვის გამოყენებულია ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.6894 ლარი;

1 EUR= 2. 9753 ლარი.

10 CNY= 3.7819 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.7020 ლარი;

1 EUR= 2. 8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 3.0976 ლარი ;

1 EUR= 3.5040 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	-	500
ლარი საბანკო ანგარიშებზე	157196	2482
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	17641	-
სულ	174837	2982

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მოთხოვნები მიწოდებიდან და	84188	3762

მომოსახურებიდან		
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	105147	9854
სულ	189335	13616

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი 2 იურიდიული პირის წინაშე.

3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	736657	861
წინასწარ ანაზღაურებული სადაზღვევო ხარჯი	0	481
სულ	736657	1342

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ავანსები გადახდილი აქვს საქართველოს რეზიდენტი 2 იურიდიული პირისთვის და 1 არარეზიდენტი იურდიული პირისთვის. არსებული ავანსებიდან თანხები გადარიცხულია მომსახურების და ნედლეულის მისაღებად.

4.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	2111818	779366
მზა პროდუქცია	111200	67574
სულ	2223018.00	846940.00

6. საინვესტიციო ქონება:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	632613.00	632613
სულ	632613.00	632613

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ავანსებზე გადახდილი დღგ	867535	163865.82
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1103461	0
საპენსიო ფონდი 2019 წლიდან	17709	-36492.90
სულ	1988705	127372.92

8. სხვა არამატერიალური აქტივები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	1722.00	1722
სულ	1722.00	1722.00

კომპანიის არამატერიალურ აქტივში პროგრამული უზრუნველყოფა ირიცხება.

9. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
შენობები	3168161	3257375.78
მანქანა დანადგარები	1354428	1135430.27
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	38731	13263.75
ოფისის აღჭურვილობა	4016	10530.44
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	17628	13270.89
ავეჯი	0	4887.73
ინვენტარი	4743	152.54
სპეციალური ინსტრუმენტები	5022	2570.19
ავეჯი (სამკერვალო)	15987	0.00
ეზოს კეთილმოწყობა	6091	10147.80
1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები	21910	7863.41
სულ	4664115	4465492.80

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 3 884 323 ლარი

2022 წლის ბოლოს - 3 795 331 ლარი

10. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	517838	59857
სულ	517838	59857

31.12.2022 წლის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 13 რეზიდენტი მიმწოდებლის მიმართ, რომელიც მიმდინარე დავალიანებებს წარმოადგენს და დაიფარება ეტაპობრივად 2023 წელს.

11. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სახელფასო ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	850	171351
სულ	850	171351

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ იფარება მომდევნო პერიოდში.

12. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	134723	161406
სულ	134723	161406

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის თვის გადასახდელი თანხებისგან, რომელთა დეკლარირებაც მოხდება 2023 წლის იანვარში.

13. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	5089719	1074232
სულ	5089719	1074232

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ავანსი მიღებული აქვს 2 (ორი) რეზიდენტი იურიდიული პირისგან, რომელთანაც სახელშეკრულებო ურთიერთობა აკავშირებს და მიღებული ავანსის ფარგლებში გაუწევს მომსახურებას (სამკერვალო).

14. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი ევროში	1190120	1153760
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი ლარში	803183	803183
სულ	1993303	1956943

16. სხვა ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
დამფუძნებლისგან მიღებული სესხზე დარიცხული სარგებელი ევროში	80602	5735
დამფუძნებლისგან მიღებული სესხზე დარიცხული სარგებელი ლარში	108651	8253
სულ	189253	13988

17.18 საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სააქციო კაპიტალი	10981761.00	10981761
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-8310833	-8327144
სულ	2670928.00	2654617

19.20. ნეტო ამონაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	12781731.00	3437283.00
გაყიდვების თვითღირებულება	-5178345	-1074630
სულ	7603386.00	2362653

2023 წელს კომპანიის ნეტო ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან (ტექსტილის წარმოება, კერვის მომსახურება) მიღებული შემოსავალია.

22. დასაქმებულთა ანაზღაურება:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
დასაქმებულთა ანაზღაურება	-6163287.00	-3623772.00
სულ	-6163287.00	-3623772

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს შენატანებს საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებებს, ბონუსებს და არა-ფულად სარგებელს (არსებობის შემთხვევაში).

23.26 ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი; ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სატრანსპორტო მომსახურება	7736	5021
მიწოდების სხვა ხარჯი	9684	663
დანადგარის სათადარიგო ნაწილები	16330	10752
ადმინისტრაციული ხარჯები	3467	4791
საოფისე ინვენტარის ხარჯები	1885	23
საკანცელარიო ხარჯები	2841	2084
საკომუნიკაციო ხარჯები	4296	1749
სადაზღვევო ხარჯები	8278	5675.0
წყლის ხარჯი	36285	18107
ელექტროენერგია და გაზი	106006	98770
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯები	21000	4312
საგადასახადო ხარჯი	47498	46107
დაცვის ხარჯი	43789	76119
ცვეთა და ამორტიზაცია	424770.66	424771
არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია	82	78

სხვა საგადასახადო ხარჯი	48556.00	48567.00
საბანკო ხარჯები	1628.13	1628
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	2589.74	2590
მივლინების ხარჯები	150	4043
სარემონტო ხარჯები	12449	13790
წარმომადგენლობითი ხარჯი	1836	588
თანამშრომელთა კვების ხარჯი	130038	
სხვა საერთო ხარჯი	32100.15	32100
სულ	963294	802316

წარმოდგენილი ფინასური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 29 სექტემბერს.

ხელმომწერი პირი:

ნინო ნიქაბაძე - დირექტორი

29 სექტემბერი, 2024

